ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1165593

ნომერი: AR1200586

თარიღი : 04.03.2014

გაცემის თარიღი : 17.03.2014

გაცნობის თარიღი : 18.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიცკევიჩის ქუჩისა და კუტუზოვის ქუჩის კუთხე N 19, (ნაკვეთი 29/040) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო კრაველიძე პ/ნ 03001005475
- ქ.თბილისი, ნუცუბიძის მე-4 პლატო, კორპ. 18. ბინა 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2012წ. #409566 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03/04/2014წ. #AR1200586 განცხადებით მომართა

ნინო კრაველიძემ და მოითხოვა სამსახურის 29.10.2012წ. #409566 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ, ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი სასწავლო აუდიტორიის ფართობის – 1540.2 კვ.მ.–ის მითითება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2012წ. #409566 ბრძანებით,ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო), მიცკევიჩის ქუჩისა და კუტუზოვის ქუჩის კუთხეში #19–ში (ნაკვ#29/040)–ში, შპს „ინსეკოს“კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა არსებული პროფ. ტექნიკური სასწავლებლის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებელებში გამორჩენილი იქნა სასწავლო აუდიტორიის ფართობის – 1540.2 კვ.მ.–ის დაფიქსირება. ამასთანავე, აღნიშნული ფართობი გათვალისწინებული იქნა ბრძანებაში ასახული საერთო ფართობის ოდენობაში, რის გამოც, ბრძანებაში ჩამოთვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობების ჯამი არ ემთხვევა ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებელს.
სამსახურს, ტექნიკური შეცდომის გასწორების მოთხოვნით, მომართავს მინდობილობით მოქმედი, 29.10.2012წ. #409566 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებული შპს „ინსეკოს“ წარმომადგენელი ნინო კრაველიძე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლისთანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2012წ. #409566 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ჩამონათვალს დაემატოს: „სასწავლო აუდიტორიის ფართობი (კვ.მ.).: 1540,2“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისისარქიტექტურის სამსახურის 29.10.2012წ. #409566 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავასქუჩა #7), მისიოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვისვადაში.